პროექტის შესახებ

სამეცნიერო პროექტი ***„უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“*** (#**FR17_388**) ფუნდა-მენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტია .

პროექტი განხორციელდა:

- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ბაზაზე

პროექტის მონაწილეები:

1. პროფ. რამაზ ქურდაძე -- სამეცნიერო ხელმძღვანელი
2. ასოც. პროფ. მაია ლომია-- კოორდინატორი, მეცნიერ-მკვლევარი
3. ნინო ჭუმბურიძე -- ძირითადი პერსონალი, მეცნიერ-მკვლევარი
4. თამარ ჩანქსელიანი -- ახალგაზრდა მკვლევარი
5. ქეთევან მარგიანი -- ექსპერტ-კონსულტანტი

საკითხის აქტუალობა

უარყოფა უნივერსალური კატეგორიაა, რომელიც დადასტურებასთან ერთად ქმნის ბინარულ ოპოზიციას, როგორც ამ სისტემის მარკირებული წევრი. „მარკირებულობა“ კოგნიტიურ პროცესებთან ერთად სხვადასხვა ენობრივ დონესაც მოიცავს – მორფოლოგიურს, სინტაქსურს, სემანტიკურს, რადგან კოგნიტიური (შემეცნებითი) მარკირებულობა ბუნებრივად აისახება ენაში და ლინგვისტური მახასიათებლებით გამოიხატება. ენობრივი ასახვის სპეციფიკის ანალიზი მეცნიერების სხვადასხვა დარგის (ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, ფსიქოლინგვისტიკის, კულტუროლოგიის, პოლიტოლოგიის...) ინტერესის სფეროს განეკუთვნება, თუმცა მათგან **უპირატესობა ლინგვისტიკას** ენიჭება, რადგან ფორმალურად მარკირებული ერთეულები ლინ-გვისტურ სტრუქტურებშია წარმოდგენილი. **ლინგვისტიკაში** სულ უფრო მეტად **აქტუალური** ხდება ადამიანის მენტალობისა და მსოფლმხედველობის ენობრივ გამოსახულებათა კვლევა თანამედროვე თეორიებითა და მიდგომებით. ამგვარი მეთოდოლოგიით განხორციელებული მუშაობის შედეგები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული დარგის, არამედ ინტერდისციპ-ლინარული კვლევების განვითარებასაც.

.პრობლემატიკა. უარყოფა სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით გადმოიცემა და თვით ქართველურ ენებს შორის განსხვავებულ ვითარებას წარმოაჩენს. უარყოფის კატეგორიის ანალიზი საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს; პროექტის ფარგლებში აქცენტი გაკეთდება შემდეგ **პრობლემურ საკითხებზე:**

1. უარყოფის მაწარმოებელ მრავალრიცხოვან აფიქსთა ფორმობრივი და ფუნქციური განაწილების პრინციპებზე სახელურ და ზმნურ ფუძეებში (თითოეულ ქართველურ ენაში

განსაკუთრებით უარყოფის ნაწილაკთა სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით).
2. უარყოფის გამომხატველ პარალელურ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის საკითხზე **ა.**უქონლობისსახელებს შორის; **ბ.**უქონლობისა და უარყოფითნაწილაკიან სახელებს შორის).
3. უარყოფითი ფორმით დადებითი შინაარსის გადმოცემაზე: **ა.** შესიტყვებაში; **ბ.** კითხვა-ძახილის ინტონაციის ფინალურ ფრაზაში; **გ.** კითხვით წინადადებაში; **დ.** პირობით-შედეგობით კონსტრუქციაში.
4. უარყოფა პოეტურ ტექსტში და თარგმანთან დაკავშირებული საკითხები

ქართველურ ენებში უარყოფის კატეგორიის ასეთი ფართომასშტაბიანი კვლევა **პირველად** დაემყარება ემპირიული მასალის ბეჭდურ გამოცემებს, ველზე მოპოვებულ ტექსტებს, კორპუს-ულ მონაცემებს. ეს იძლევა საშუალებას განისაზღვროს **სტატისტიკური მაჩვენებელი** და გა-კეთდეს მეცნიერულად **სანდო დასკვნები.** არასალიტერატურო ქართველური ენების არსებული მონაცემთა ბაზა **შეივსო** ველზე მოპოვებული აუდიო-ვიდეო მასალებით, ექსპერიმენტების მო-ნაცემებით, რაც გრანტის განხორციელების პერიოდში ენობრივ მონაცემთა დოკუმენტირების სა-თანადო წესების დაცვით განხორციელდა.

მუშაობა ველზე

საველე მუშაობა წარიმართა სამეგრელოსა და სვანეთის მუნიციპალიტეტებში, ს. სარფში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), თურქეთის ლაზეთში: ხოფა, არქაბის რაიონი, რიზე, ტრაპიზონი.

სამეცნიერო ღონისძიებები:

საქართველოში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში
 იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში
 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში

უცხოეთში

ლეიდენის უნივერსიტეტში (ჰოლანდია)
ლუბლინის უნივერსიტეტში (პოლონეთი)
ბრემენის უნივერსიტეტში (გერმანია)
ოლდენბურგის უნივერსიტეტში (გერმანია)
სტამბოლის მედიპოლ უნივერსიტეტში (თურქეთი)
კიევის ეროვნულ საავიაციო უნივერსიტეტში (უკრაინა)

სამეცნიერო სტატიები:

საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალში: Multilingual Education , #12, 2018
http://www.multilingualeducation.org/en/article/45

საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალში: Multilingual Education, #14, 2019
http://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/7.%20Ketevan%20Margiani,%20Tamar%20Chankseliani.pdf
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონულ რეცენზირებად სამეცნიერო ბილინგვურ ჟურნალ „სპეკალში“, #13, 2019: http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულში „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. V, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,* თბილისი, 2018.

საბოლოო შედეგი: ბეჭდური მონოგრაფია